

მედია განათლების გაცვლითი პროგრამა ჟურნალისტებისთვის საქართველოდან

ანკეტების მიღების ბოლო ვადა: 30 ოქტომბერი

პროგრამაში მონაწილეობის ანკეტა გადააგზავნეთ: georgiajournalism@gmail.com

აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების დაფინანსებით სან ხოსეს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SJSU) აცხადებს მედია განათლების გაცვლით პროგრამას ჟურნალისტებისთვის საქართველოში.

აშშ-ის მედია ცენტრებში დაგეგმილი ინტენსიური პროფესიული ტური საშუალებას აძლევს ჟურნალისტებს საქართველოდან აიმაღლონ კვალიფიკაცია და გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა. სილიკონ ველის მედია ორგანიზაციებში ვიზიტი მოიცავს პრაქტიკულ ტრენინგებს და ჟურნალისტებისთვის უახლესი ინტერნეტ აპლიკაციების გაცნობას.

სან ხოსეს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციების სკოლა, რომლის დევიზია „სწავლა კეთებით“, უმასპინძლებს 20 შერჩეულ ჟურნალისტს საქართველოდან. ზემოაღნიშნული უნივერსიტეტი ორგანიზებას გაუწევს სპეციალურ მედია ტურებს და ტრენინგებს, რომელიც გაიმართება ორ ნაკადად. თითოეულ ნაკადში წარმოდგენილი იქნება 10 ჟურნალისტი.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ინგლისური ენის ცოდნა სასურველია, მაგრამ სავალდებულო არ არის. პროგრამა უზრუნველყოფს თარგმანს.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ბეჭდური, ელექტრონული და ონლაინ მედია ორგანიზაციებში დასაქმებულ ჟურნალისტებს, რედაქტორებს და პროდიუსერებს. აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს პროფესიულ საქმიანობაში მულტიმედია პრაქტიკის გამოყენების უნარი. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ უშტატო, ე.წ. „freelance“ ჟურნალისტებსაც, რომელთა ნამუშევრებიც გამოქვეყნებულია.

პროგრამა დაფინანსებულია საქართველოში ამერიკის საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების მიერ.

პროგრამის თარიღები (კონკრეტული თარიღები შეიძლება შეიცვალოს):

სამშაბათი, 2 იანვარი, 2018: მონაწილეების ჩასვლა სან ფრანცისკოში, კალიფორნია.

ოთხშაბათი, 3 იანვარი - სილიკონ ველის დედაქალაქის სან ხოსეს ცენტრის დათვალიერება.

ხუთშაბათი, 4 იანვარი - სტუმრობა “გუგლში” და სემინარი “გუგლთულზის” გამოყენებაზე პარასკევი, 5 იანვარი - სემინარი ვიზუალური მონაცემების შემცველი სიუჟეტის მომზადებაზე

შაბათი, 6 იანვარი - ინფორმაციის შექმნა

კვირა, 7 იანვარი - სან- ფრანცისკოს დათვალიერება

ორშაბათი, 8 იანვარი - ჯგუფს გამოეყოფა ორი მონაწილე 8-12 იანვარს სტაჟირებაში მონაწილეობის მისაღებად.

სამშაბათი, 9 იანვარი - სან ფრანცისკოს KQED-TV and Radio-ში (PBS/NPR) სტუმრობა
ოთხშაბათი, 10 იანვარი - სტუმრობა “ფეისბუქში” და მითითებები “ქრუდთენგლის”
გამოყენებისთვის

ხუთშაბათი, 11 იანვარი - სტუმრობა “მეტრო მეგეზინში” (სან ხოსე)

პარასკევი, 12 იანვარი - სტუმრობა KNTV-ში (NBC, სან ხოსე)

შაბათი, 13 იანვარი - თავისუფალი დილა, გამგზავრებისთვის გამზადება

კვირა, 14 იანვარი - გამგზავრება საქართველოში

(იგივე განრიგი შედგება შემდეგი ჯგუფისთვის, რომელიც 15-დან 27 იანვრამდე მიიღებს პროგრამაში მონაწილეობას.